

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს

სახელმწიფო უნივერსიტეტი



სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი

კინომცოდნეობის მიმართულება

სადოქტორო პროგრამა - ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევები - კინომცოდნეობა

ეკატერინე კონტრიძე

ხელოვანის შემოქმედებითი თავისუფლების პრობლემა

ტოტალიტარული რეჟიმის დროს

(ავტორეფერატი)

წარმოდგენილია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის

(PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,

ასოც. პროფესორი **ნანა დოლიძე**

თბილისი, 0108, საქართველო

2022

კვლევის ზოგადი დახასიათება:

XX საუკუნის 30-იანი წლები, ერთ-ერთი ყველაზე რთული და საინტერესო ეპოქაა მსოფლიო ისტორიაში. ოთხი დიდი დიქტატორი თითქმის პარალელურად მოდის ხელისუფლების სათავეში და თითქმის პარალელურად მიმდინარეობს სსრკ-ში სტალინის, გერმანიაში - ჰიტლერის, იტალიაში - მუსოლინისა და ესპანეთში - ფრანკოს დიქტატორული მმართველობის ხანა. მსოფლიოში სიმშვიდე სრულდება, იწყება ქაოსი და ანარქია, ძალაუფლებისა და გავლენის მოსაპოვებლად უსამართლო ბრძოლა, რომელიც სასტიკ მეორე მსოფლიო ომში გადაიზრდება.

წინამდებარე ნაშრომი მცდელობაა, ერთიან კონტექსტში დავინახოთ, თუ როგორ წარმოიშვა და გაძლიერდა XX საუკუნის პირველ ნახევარში, ორი განსხვავებული და დამანგრეველი იდეოლოგია - ფაშიზმი და კომუნიზმი; როგორ იცვლებოდა საზოგადოების დამოკიდებულება იდეოლოგიებისა და მათი ლიდერების მიმართ; როგორ თანდათან ყალიბდებოდნენ ლიდერები დიქტატორებად და როგორ იყენებდნენ ხელოვნებასა და კინოს საზოგადოების ცნობიერებაზე ზეგავლენისთვის; როგორ ტრანსფორმაციას განიცდიდა ხელოვნება და ხელოვანი სხვადასხვა გარემოში, პოლიტიკურად „სტაბილურ“ თუ „არასტაბილურ“ დროს; როგორ უსწორდებოდა რეჟიმი ურჩ ხელოვანებს და როგორ იმოქმედა დიქტატურამ მათ შემოქმედებაზე; ვის რა ბედისწერა ერგო წილად და ვინ რა გზა აირჩია - შეგუება, კონფორმიზმი, თუ ბრძოლა თავისუფლებისთვის, ხშირად, სიცოცხლის ფასად...

ისტორიულად ცნობილია და კვლევის შედეგადაც ნათლად გამოჩნდა, რომ სახელმწიფოში დიქტატისა და წნეხის დროს ხელოვანის ცხოვრების გზა ხშირად არა მხოლოდ შემოქმედებით თავისუფლების არქონაზე, არამედ ფიზიკურ გადარჩენაზე გადიოდა. ტოტალური შიშის მიუხედავად, თავისუფლების მოთხოვნილება საზოგადოებაში მუდამ არსებობდა. ხელოვნება მუდმივად იყო პროტესტისა და ამბოხის მშვიდობიანი ფორმა უსამართლობის წინააღმდეგ. კინოხელოვნება იყო ძალა, რომელიც საბოლოოდ ცვლიდა საზოგადოების გემოვნებას, განწყობასა და ცნობიერებას.

კვლევის აქტუალურობა:

ტოტალიტარული ქვეყნები და ხელოვნების თავისუფლების თემა, სიმწვავისა და აქტუალობის გამო, საზოგადოებისთვის დღესაც საინტერესოა. მართალია, ევროპაში

დიქტატურის პერიოდის ხელოვნების კვლევა არსებობს ცალკეული ქვეყნების მაგალითზე, მაგრამ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ამ თემას, ისევე, როგორც დოკუმენტებს, ჯერ კიდევ ტაბუ ადევთ. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ საბჭოთა იდეოლოგიის გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში ჯერ კიდევ საგრძნობია.

ძალიან მნიშვნელოვანია საბჭოთა პერიოდის შესწავლა და შეფასება სხვადასხვა პროფესიის, სხვადასხვა გამოცდილების ადამიანების მხრიდან. ანუ აუცილებელია სხვადასხვა პერსპექტივაში დავინახოთ და გავიაზროთ წარსულის ისტორია და დიქტატურის წლები... ტრაგედიის მასშტაბები და სიღრმე... ზუსტად უნდა ვიცოდეთ სად ვიცხოვრეთ, როგორ ვიცხოვრეთ და რა გავაკეთეთ...

ისტორიული პარალელების გავლება სარისკოა, მაგრამ, ამავე დროს, მნიშვნელოვანი. სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყნებში მომხდარ მოვლენებს შორის მსგავსებისა და განსხვავების შედარებით, წარსულზე დაკვირვების, ისტორიული ანალოგიებს დანახვით - აწმყოს შეფასებაც უკეთაა შესაძლებელი.

კვლევის მეთოდოლოგია:

წინამდებარე კვლევისთვის შევავსოვთ და შევისწავლო დიდი მოცულობის მასალა - მკვლევრების სამეცნიერო ნაშრომები, ამ პერიოდზე არსებული ლიტერატურა, პრესა, ფილმები, ამ ეპოქის ხელოვნების მოგონებები, ინტერვიუები, პირადი არქივები.

ინტენსიურად ვიმუშავებ: საქართველოს ეროვნული არქივში, საქართველოს შსს არქივში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში, ხელოვნების სასახლეში, საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიაში. ამ დოკუმენტების დიდ ნაწილს ათეული წლები ტაბუ ედო და ჩემს კვლევაში პირველად ხდება საჯარო, ამიტომ ვფიქრობ, ნაშრომი ნაწილობრივ მაინც შეავსებს სიცარიელეს, რომელიც 30-იანი წლების ქართული კინოს ინფორმაციულ ვაკუუმს უკავშირდება.

დასრულებული კვლევა დახმარებას გაუწევს არამხოლოდ კინომცოდნეებს, ასევე ხელოვნების, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევრებსაც, რომლებიც მომავალში დააპირებენ აღნიშნული საკითხზე მუშაობას.

ნაშრომის სტრუქტურა:

საკვლევი თემა შეგდება სამი თავისაგან: დიქტატურა, იდეოლოგია, ხელოვნება და თავისუფლება XX საუკუნის ევროპაში; რუსული საბჭოთა კინემატოგრაფი და

რეპრესირებული ქართული ხელოვნება. თემის პირველი თავი მოიცავს სამ ნაწილს: იტალიური ფაშიზმი, ნაციზმი გერმანიაში და ფრანკოს ესპანეთი. თემის მეორე თავი მოიცავს მხოლოდ ერთ ნაწილს - რუსული საბჭოთა კინო. თემის მესამე თავი - რეპრესირებული ქართული ხელოვნება შედგება სამი ნაწილისაგან: რეპრესირე ქართული მწერლობა და თეატრი, რეპრესირებული ქართველი კინორეჟისორები, რევიზია „სახკინმრეწვში“. თემა მოიცავს შესავალ-დასკვნას, ასევე მრავალ ქვეთავებს და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

საკვლევი თემის პირველი თავი მოიცავს სამ ქვეყანაში (იტალია, გერმანია, ესპანეთი) დიქტატორული რეჟიმების პერიოდის შესწავლასა და ანალიზს. თუ როგორი დიქტატორები იყვნენ სამი სრულიად განსხვავებული - ადოლფ ჰიტლერი, ბენიტო მუსოლინი და ფრანცისკო ფრანკო და როგორმა ისტორიულმა გარემოებებმა განაპირობეს მათი დიქტატორებად ჩამოყალიბება; როგორ ვითარდებოდა ამ ქვეყნებში ხელოვნება და კერძოდ, კინემატოგრაფი; რამდენად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კინომ საზოგადოების ცნობიერებაში მომხდარის გაანალიზების პროცესში და რამდენად აუცილებელია დიქტატურის დასრულების შემდეგ ღირებულებების ობიექტურად გადაფასება ქვეყნისა და საზოგადოების შემდგომი განვითარების პროცესში.

საკვლევი თემის მეორე თავი მოიცავს სსრკ-ში სტალინის დიქტატურის ეპოქას. იმის მიუხედავად, რომ 20-იანი წლების საბჭოთა კინემატოგრაფი სავსე იყო ექსპერიმენტებით, კინოსიმბოლოებისა და თხრობის ახალი ხერხების ძიებით, 30-იანი წლებიდან საბჭოთა ხელოვნებაში დიდი სტაგნაციის პერიოდი დაიწყო. ხელოვნებისგან მკაცრად მოითხოვდნენ შემოქმედებითი ექსპერიმენტებისთვის თავის დანებებას და მხოლოდ „კომუნისტური სულისკვეთების ნაწარმოებების“ კეთებას. მთავარი მიმდინარეობა, დოქტრინა ხდება სოციალისტური რეალიზმი, რომელიც მითებს ქმნის როგორც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ, ასევე „ყოველსშემძლე და უძლეველი სტალინის“ - ერის მამის შესახებ.

30-იანი, 40-იანი და 50-იანი წლების რუსულ საბჭოთა კინოში, მასობრივი რეპრესიები მიმდინარეობდა. დაპატიმრებები, დახვრეტები, შიმშილით, ცემითა და წამებით სიკვდილი – რა თქმა უნდა კინემატოგრაფისტებსაც შეეხოთ, მაგრამ სამწუხაროდ მათი ისტორიები ჯერ შეუსწავლელია...

საკვლევი თემის მესამე და ყველაზე მოცულობითი თავი ეძღვნება 30-იან წლებში ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს. იმისთვის, რომ ზუსტად აღმედგინა მოვლენების თანამიმდევრობა და არსი, შსს არქივის დოკუმენტებზე დაყრდნობით, ვსაუბრობ 30-იან წლებში რეპრესირებულ, ქართული მწერლობისა და თეატრის წარმომადგენლებზე.

ამ პერიოდში, ქართულ კინემატოგრაფში მიმდინარე მოვლენების ობიექტურად შესაფასებლად, აქცენტი გავაკეთე ორი რეჟისორის შემოქმედებაზე, რომლებსაც რეპრესიები სხვადასხვა დროსა და ფორმით შეეხოთ. ესენია - კოტე მიქაბერიძე და ნუცა ლოღობერიძე.

დავამუშავე საქართველოს შსს არქივში დაცული, „კოტე მიქაბერიძის საქაღალდე“; მოვიძიე საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული, მისი განუხორციელებელი სცენარები, სხვადასხვა მიზნითა და საფუძველზე შეჩერებული ფილმების სცენარები, ჩანახატები, სცენარებისა თუ ფილმების განხილვის ოქმები. კოტე მიქაბერიძის მოგონებენი, ინტერვიუები, დღიურები.

პირველ საბჭოთა ქალ რეჟისორ ნუცა ლოღობერიძის ბიოგრაფია, ფილმები წლების განმავლობაში ტაბუდადებული იყო. ეროვნულ არქივში მოვიძიე მისი, დღემდე უცნობი სცენარები და მისი ფილმების განხილვის ოქმები.

ნაშრომის ამ ნაწილში ასევე საუბარია, 30-იან წლებში საქართველოს „სახკინმრეწვში“¹ მიმდინარე პროცესებზე. ეროვნულ არქივში მივაგენი აქამდე უცნობ დოკუმენტებს, რომლების მიხედვითაც ირკვევა, რომ 1937 წლის იანვარ-აგვისტოში „სახკინმრეწვში“ უშიშროების სამსახურის მითითებით, მიმდინარეობდა რევიზია-კონტროლი. რევიზიის მიზანი იყო „საქართველოს სახკინმრეწვის სისტემაში მავნებლების მხილება და მათი ლიკვიდაცია“. ჩატარდა როგორც საბუღალტრო-საფინანსო ხარჯების კონტროლი, ასევე „სახკინმრეწვში“ შემავალი დამოუკიდებელი საწარმოების - „ქრონიკალური სტუდია“, „მულტსტუდია“ და „კინოსასცენარო განყოფილების“ - რევიზია-კონტროლი. შეჩერდა ცალკეული ფილმების წარმოება, დაიკითხნენ სტუდიის რეჟისორები, გამოაშკარავდა „იდეურად არასაიმედო ხალხი“. დააპატიმრეს მწერალთა კავშირის კინოს სექციის წევრი და სახკინმრეწვში სასცენარო განყოფილების თანამშრომელი სამუელ (ბაჭუა) კუპრაშვილი. დააპატიმრეს „სახკინმრეწვის“ მაშინდელი დირექტორი ამბროსი სიმონის ძე თითბერიძე. ასევე დააპატიმრეს „სახკინმრეწვის“ დირექტორის მოადგილე ივანე გიორგის ძე კიკნაძე. სამივეს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიესაჯა.

¹ „სახკინმრეწვი“ - სახელმწიფო კინოს მრეწველობა.

განაჩენის აღსრულების შემდეგ, 1937 წლის 22 ნოემბერს გაიმართა „სახკინმრეწვში მომუშავეთა და დასაქმებულთა საერთო კრება“, რომელზეც ყველამ საჯაროდ დაგმეს უკვე ლიკვიდირებული „ხალხის მტრების“ საქციელი.

საკვლევი თემის მნიშვნელობა:

ეს არის მცდელობა, ერთიან კონტექსტში გავიაზროთ, თუ რა პროცესები მიმდინარეობდა 30-იან წლებში ფაშისტურ იტალიაში, გერმანიასა და ესპანეთში, ასევე საბჭოთა რუსეთსა და საქართველოში; როგორი იყო კულტურაზე კონტროლის პოლიტიკა და რა როლი ითამაშა ხელოვნებამ და კინემატოგრაფმა იდეოლოგიის პროპაგანდის საქმეში. რამდენად შეძლო დიქტატორულ ქვეყნებში კინემატოგრაფმა ერის გამოფხიზლება და დანაშაულის გააზრების პროცესის სწორად წარმართვა.

ხელისუფლების სწრაფვა ძალაუფლების მოსაპოვებლად, ძალაუფლების დაკარგვაზე ფიქრი, ხელოვანის თავისუფლების აუცილებლობა და ადამიანის თავისუფლების უფლება - ის თემებია, რომლებიც ყველა დროში შეიძლება არსებობდეს. ეს თემები, სამწუხაროდ, აქტუალურია დღესაც. XXI საუკუნეში მსოფლიოში ისევ გაჩნდა დიქტატურის ნიშნები და სიტყვის თავისუფლებისთვის ბროლა, ისევ სასიცოცხლო რისკებსა და თავისუფლების შეზღუდვას უკავშირდება.

თავი I

იტალიური ფაშიზმი

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იტალიაში, ისევე როგორც მთელ ევროპაში, ეკონომიკური კრიზისი და უმუშევრობა დაიწყო. გაღარიბებული და ომისგან დაღლილი მოსახლეობა ქვეყანაში ცვლილებებს მოითხოვდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ლიდერი, რომელმაც განაცხადა, რომ ზუსტად იცის, რა უნდა გააკეთოს იტალიის კრიზისიდან გამოსაყვანად. ეს კაცი ახალგაზრდა ჟურნალისტი ბენიტო მუსოლინი² იყო. მის მიმდევრებს სჯეროდათ, რომ იქმნებოდა ახალი - პატრიოტული სულისკვეთების იტალია, ახალი რომის იმპერია. სინამდვილეში, ეს იყო ქვეყნის მართვისა და ხალხის დამორჩილების ახალი, ფაშისტური სისტემა.

„უნდა დასრულდეს უგუნური იდეა, რომ თითქოს ყველას თავად შეუძლია იფიქროს. იტალიას აქვს ერთი თავი და ფაშიზმს აქვს მხოლოდ ერთი ტვინი, ეს არის დუჩეს თავი და

² ბენიტო ამილკარე ანდრეა მუსოლინი - ფაშისტური იტალიის დიქტატორი.

ტვინი. სხვა ყველა თავი, მოღალატეების თავებია და ისინი უმოწყალოდ უნდა მოიკვეთოს³ - აცხადებდა მუსოლინი.

მუსოლინი თავიდანვე მიხვდა, რომ კინო ქვეყნის მართვის სისტემაში ძლიერი იარაღი იქნებოდა. 30-იანი წლების შუა პერიოდიდან, ფაშისტურ იტალიაში, ხელოვანების მიმართ პოლიტიკა შეიცვალა. ფაშისტური იტალიის ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო კულტურა გახდა, რომელსაც საზოგადოების გარდაექმნა და ახალი პიროვნების ჩამოყალიბება ევალებოდა .

მუსოლინი ამბობდა: „ხელოვნება უნდა იმართებოდეს, რათა ის პოლიტიკასთან ყოველთვის შესაბამისობაში იყოს“ .⁴

დუჩეს მხარდაჭერით, დიდი რაოდენობით გამოდიოდა პატრიოტული და საგანმანათლებლო კინოჟურნალები, შემეცნებითი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები, რომლებიც ფაშისტური პარტიის წარმატებებს ასახავდნენ (თუმცა საბედნიეროდ მხატვრული ფილმების პოტენციალი რეჟიმს სრულად არ გამოუყენებია).

მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, კინონდუსტრიის მთავარი ცენტრი „ჩინეჩიტა“ გაიხსნა. სტუდა ფოკუსირებული იყო როგორც საგანმანათლებლო, ასევე კინოს თეორიაზე სამეცნიერო, საგამომცემლო საქმიანობაზე.

კინოცენტრის ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებმა უარი თქვეს კონფორმისტული ფილმების გადაღებაზე და იდეოლოგიისგან თავისუფალ კინოზე სტატიების წერა დაიწყეს. ამ სტატიებში პირველად იქნა გამოყენებული ტერმინი „ნეორეალიზმი“. ახალგაზრდა რეჟისორები: ვიტორიო დე სიკა, რობერტო როსელინი, ლუკინო ვისკონტი , ჯუზეპე დე სანტისი, პიეტრო ჯერმი, ჩეზარე პავატინი და სხვები იწყებენ ახალ გვერდს იტალიური კინოს ისტორიაში. ასე დაიბადა იტალიაში ყველაზე პროგრესული, დემოკრატიული და ანტიფაშისტური მიმდინარეობა - ნეორეალიზმი, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა მსოფლიო კინემატოგრაფში.

„ნეორეალიზმი დაიბადა მას შემდეგ, რაც ტოტალურად დაიკარგა თავისუფლება, არა მხოლოდ პიროვნული, ასევე მხატვრული და პოლიტიკურიც. ეს იყო აჯანყების ფორმა სულის შემხუთველი დიქტატურის წინააღმდეგ, რომელიც შეურაცხყოფდა მთლიანად იტალიას. როდესაც ომი წავაგეთ, აღმოვაჩინეთ ჩვენი დამსხვრეული მორალი“⁵. (ვიტორიო დე სიკა).

³ Бялый Ю., Итальянский фашизм во власти. Политическое оформление и фашистская практика - <https://rossaprimavera.ru/article/italyanskiy-fashizm-vo-vlasti-politicheskoe-oformlenie-i-fashistskaya-praktika-chast-i>

⁴ Рождение фашизма. 1919 – век спустя. Муссолини, как культурная фигура. <https://www.svoboda.org/a/29869996.html>

⁵ ინტერვიუ ვიტორიო დე სიკასთან - <https://cineyema.wordpress.com/2015/12/15>

ნეორეალიზმმა უდიდესი გავლენა მსოფლიო კინოხელოვნებაზეც. მიმდინარეობას ჰქონდა არა მარტო კულტურული და შემოქმედებითი ამოცანა, არამედ, პოლიტიკური დატვირთვაც - „ერის ღირსების დაცვის“ მისია. ამ მიმდინარეობის დამსახურებაა, რომ მსოფლიომ გაიცნო რიგითი იტალიელის დამოკიდებულება რეჟიმის და სამყაროს მიმართ. სწორედ ამის გამო, მსოფლიოს იტალიელი ხალხის მიმართ სიყვარული და პატივისცემა გაუჩინა.

ნაციზმი გერმანიაში

პირველ მსოფლიო ომში მარცხი, დამამცირებლად მოქმედებდა გერმანელი ხალხის პატივმოყვარეობაზე. გერმანიაში შიმშილობა, უმუშევრობა, ინფლაცია და მძიმე ეკონომიური კრიზისი გრძელდებოდა.

ამ დროს პოლიტიკაში მოდის ახალი ლიდერი, ადოლფ ჰიტლერი, რომელიც ხალხს პრობლემების მოგვარებასა და გერმანიის იმპერიის აღდგენას პირდებოდა. 1933 წლიდან ახალმა მთავრობამ, ადოლფ ჰიტლერის მეთაურობით, ახალი სახელმწიფოს შენება დაიწყო, რომელსაც მკვეთრად ჩამოყალიბებული ფაშისტური იდეოლოგია ჰქონდა. გერმანული ფაშიზმი თავიდანვე განსხვავდებოდა იტალიური ფაშიზმისგან უკიდურესი სიხისტითა და ფანატიზმით.

1924 წელს ჰიტლერმა დაწერა თავისი ყველაზე ცნობილი ნაშრომი, „Mein Kampf ჩემი ბრძოლა“⁶ - ეს იყო ნაცისტური პოლიტიკური პროგრამის მანიფესტის, რაც მომავალში ჰიტლერის პოლიტიკური პლატფორმის საფუძველი გახდა. წიგნი „ჩემი ბრძოლა“ გაჟღენთილი ანტისემიტიზმით, რასიზმით, სიძულვილით და სისასტიკით, ყველა გერმანელის აუცილებლად საკითხავ სახელმძღვანელოდ და ნაცისტების ნამდვილ ბიბლიად იქცა.

ადოლფ ჰიტლერი ხმამაღლა, აგრესიულად უცხადებდა მთელ სამყაროს, რომ გერმანელი ერი იყო ყველაზე განსაკუთრებული და ცივილიზებული ერი ევროპაში, რომ გერმანელებისგან უნდა გაზრდილიყვნენ ახალი, წმინდა რასის წარმომადგენლები და მხოლოდ მათ - უმაღლეს არიულ რასას ჰქონდა „სამყაროზე ბატონობის ღვთაებრივი მისია“.

მესამე რაიხი ანუ მესამე იმპერია, ასე ეწოდებოდა სახელმწიფოს, რომელიც ადოლფ ჰიტლერს და გერმანელ ერს უნდა აემუნებინა. ეს იდეა ყოველწლიურდ ძლიერდებოდა და

⁶ „ჩემი ბრძოლა“ „Mein Kampf“ - ადოლფ ჰიტლერი - <http://www.cesarkallas.net/arquivos/livros/informatica/filosofia/Adolf%20Hitler%20-%20Mein%20Kampf%20German.pdf>

ფშისტური იდეოლოგიის ძირითად ღერძს წარმოადგენდა. ნაცისტური პარტია უმაღლეს გერმანულ-არიულ რასას მსოფლიო მართვის უსაზღვრო უფლებებს ანიჭებდა.

„გერმანელი ბიჭები უნდა იყვნენ ქერა, ცისფერთვალება, გამხდარი, მაღალი, გრძელი კიდურებით, სწრაფი - როგორც კურდღელი და უდრეკი როგორც ფოლადი! ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი რასა!“⁷

„სისუსტე და ნაკლი არ უნდა ავიტანოთ! სუსტები უნდა განადგურდნენ ! ისინი უნდა შეეწირონ საერთო კეთილდღეობას!“⁸ რასიზმი და ანტისემიტიზმი ერთ-ერთი ძირითადი ხაზი იყო გერმანულ ფაშისტურ იდეოლოგიაში და ამ იდეებს პარტია დაარსებისთანავე ამკვიდრებდა.

1937 წლიდან ნაცისტებმა ებრაელების მასიური შევიწროება დაიწყეს. მათ დევნიდნენ საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სფეროებიდან, მკერდზე ყვითელი ექვსქიმიანი ვარსკვლავის ტარებას აიძულებდნენ. აუკრძალეს ხალხმრავალ ადგილებში, თეატრებში, ოპერაში გამოჩენა, მოგვიანებით მათი ქონების მასიური კონფისკაცია დაიწყეს, შემდეგ მათ დევნაზე, იზოლაციასა და საბოლოოდ ებრაელების სრულ განადგურებაზე გადავიდნენ.

ხელისუფლებაში ახალმისულმა ნაცისტურმა მთავრობამ ბოლომდე გამოიყენა მასებზე ხელოვნების გავლენის შესაძლებლობები. დაარსდა „საზოგადოებრივი განმანათლებლობისა და პროპაგანდის სამინისტრო“ (Reichsministerium für Volksaufklärung und Propaganda), რომელსაც იოზეფ გებელსი ხელმძღვანელობდა.

სამინისტრო აკონტროლებდა გერმანიის მედიას - რადიოს, გაზეთების, ჟურნალებს, წიგნებს, საჯარო შეხვედრებს, მხატვარების გამოფენებს, კონცერტებს, თეატრს, კინემატოგრაფს.

გებელსის ბრძანებით შეიქმნა სახელმწიფოს მიერ კინოწარმოების მართვის სისტემა. კინოსტუდია UFA⁹ მთლიანად სახელმწიფო დაქვემდებარებაში გადავიდა, ამიტომ ეკრანზე მხოლოდ ნაცისტური იდეოლოგიის, დაბალი ღირებულების ფილმები გამოდიოდა. შემოიღეს ახალი თანამდებობა - „რაიხსფილმდრამატურგი“ (Reichsfilmdramaturg), რაც ფილმის მთავარ ცენზორს ნიშნავდა. ის აქტიურად მონაწილეობდა სცენარის შექმნაში, გადაღებების პროცესებსა და ფილმის მონტაჟშიც კი. გერმანული ნაცისტური კინო სრულიად განსხვავებულ მოვლენებსა და რეალობას ასახავდა.

გერმანული ფილმები, საზოგადოებაში დაუმარცხებელი ქვეყნის ილუზიას ქმნიდნენ და მიმართული იყო საზოგადოების ფსიქოლოგიური რეგრესისკენ. ფილმებში, ომი

⁷ იქვე

⁸ იქვე

⁹ UFA-Universum Film Aktiengesellschaft -უნივერსუმ ფილმ აქციენგეზელშაფტ.

წარმოდგენილი იყო როგორც საზეიმო, პომპეზური და წარმატებული პოლიტიკური მოქმედება. მაყურებლების უმეტესობას ეკრანზე ნანახი მცდარი ინფორმაციის და ყალბი პათეტიზმის, დიდხანს სჯეროდა. ბრმად მიყვებოდა „ზეადამიანი - ფიურერის“ ბრძანებებს და უსიტყვოდ ასრულებდა პარტიის ნებისმიერი მოთხოვნებს.

ქვეყანაში კი სულ სხვა რეალობა იყო. გაჩნდნენ საკონცენტრაციო ბანაკები, რომლებიც სავესე იყო ებრაელებით, ბოშებით, ნაცისმისთვის მიუღებელი ორიენტაციისა და შეხედულების ადამიანებით, გესტაპო მათ წარმოდგენილი სისასტიკით აწამებდა და გაზის კამერებში ეტაპობრივად ანადგურებდა.

ახალგაზრდა, გამოუცდელი, უდანაშაულო გერმანელი ბიჭები, რიგითი ჯარისკაცები, იძულებულები იყვნენ ისიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ბრძოლის ველზე დარჩენილიყვნენ.

ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ხელოვნებისა და ლიტერატურის, დაახლოებით 4000-მდე წარმომადგენელმა გერმანია დატოვა (თომას მანი, მარლენ დიტრიხი, ერიხ მარია რემარკი, მაქს რეინჰარდტი, ფრიც ლანგი, ოსკარ ჰომოლკა, პიტერ ლორე, კაროლა ნეჰერი, მაქს პალენბერგი, კონრად ვაიდტი). ქვეყნიდან წასული ყველა მწერალი, პოეტი, მეცნიერი, მხატვარი, რეჟისორი, მსახიობი, რომლებიც ნაციზმის იდეოლოგიას არ იზიარებდნენ, მტრებად გამოაცხადეს და მათი შემოქმედება აკრძალეს იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ვერ მოასწრეს ქვეყნიდან გაქცევა, ისინი დააპატიმრეს, აწამეს, ზოგი საკონცენტრაციო ბანაკებში გარდაიცვალა (კარლ ფონ ოსიციკი, მაქს ერლიხი, კურტ გერონი, ფრიც გრიუნბაუმი, ვილი როზენი და სხვ).

იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ვერ შეძლეს აქტიური ბრძოლა და ნაცისტებმა ისინი თვითმკვლელობამდე მიიყვანეს (შტეფან ცვაიგი, ვალტერ ბენიამინი, კურტ ტუხოლსკი, ჰაზენ კლევერი და სხვ).

გერმანელ ხელოვანთა მხოლოდ მცირე ნაწილმა დაიწყო საკუთარი ნებით, რეჟიმთან თანამშრომლობა. ერთ-ერთი იყო თეატრისა და კინოს მსახიობი, რეჟისორი **გუსტავ გრიუნდგენსი**, რომელმაც გერმანული თეატრი არ დატოვა და ერთგულად ემსახურა ნაცისტურ იდეოლოგიას. იგი თავისი დუმილით პრესტიჟს უნარჩუნებდა იმ რეჟიმს, რომელმაც გერმანიის მოწინავე ინტელიგენცია გაანადგურა.

კიდევ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელმაც უდიდესი პროპაგანდა გაუწია ნაციზმს, კინორეჟისორი, მსახიობი და მოცეკვავე **ლენი რიფენშტალია**. მისი ფილმები „**ნების ტრიუმფი**“ და „**ოლიმპია**“ - ნაცისტური პროპაგანდის საუკეთესო ნიმუშებია.

ნაცისტური გერმანიის დამარცხებისა და მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ქალაქ ნიურნბერგში გაიმართა სამხედრო დამნაშავეების სასამართლო პროცესი.

საერთაშორისო ტრიბუნალმა გაასამართლა მეორე მსოფლიო ომის მთავარი დამნაშავეები - ნაცისტური გერმანიის 24 ხელმძღვანელი, რეჟიმის გავლენიანი ფიგურები, ნაცისტური პარტიის წევრები და დამცველი რაზმები. ეს სასამართლო აღიქმებოდა როგორც „სამართლიანობის აქტი“, რადგან ისტორიაში პირველად მოხდა სახელმწიფოს ხელმძღვანელ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ომის დასრულების შემდეგ ახალგაზრდა პოეტი, მწერალი და დრამატურგი ვოლფგანგ ბორჩერტი¹⁰ წერდა: „ჩვენ ვართ თაობა სამშობლოს გარეშე და ცუდი რეპუტაციით. ჩვენი მზე სუსტად ანათებს, ჩვენი სიყვარული სასტიკია, ჩვენს ახალგაზრდობას ახალგაზრდობა არ აქვს. ... ჩვენ ვართ თაობა კავშირების გარეშე, წარსულის გარეშე, აღიარების გარეშე“ .¹¹

ომის დასრულების შემდეგ ქვეყანა 2 ნაწილად გაიყო (ერთი - გერანიის დემოკრატიული რესპუბლიკა - საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ დარჩა, მეორემ - გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ - დამოუკიდებლად დაიწყო განვითარება).

1962 წლის 28 თებერვალს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ობერჰაუზენში, მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე, 26-მა ახალგაზრდა გერმანელმა კინემატოგრაფისტმა განცხადება გააკეთეს - მანიფესტით „მამების კინოს“ გარდაცვალების შესახებ.

ასე დაიბადა მოძრაობა, რომელიც მოგვიანებით ცნობილი გახდა როგორც „ახალგაზრდა გერმანული კინო“, წაკითხულ დოკუმენტს ეწოდა „ობერჰაუზენის მანიფესტი“ ხოლო მემამბოხე ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებს - „ობერჰაუზენელები“, „ობერჰაუზენელი განრისხებულები“.¹²

ახალგაზრდა რეჟისორებს სურდათ თავის ფილმებში უფრო ღრმად და კრიტიკულად აესახათ თანამედროვე რეალობა, გაეაზრებინათ არსებული დრო და ეპოქა. ეჩვენებინათ ქვეყანა, რომელიც დამნაშავე იყო მილიონობით ადამიანთა განადგურებაში და ეს ქვეყანა, მათი სამშობლო იყო. უნდოთად აეხსნათ, რომ ისინი დამნაშავენი არ იყვნენ „მამების“ ცოდვებში. ყველასთვის მოეყოლათ, რომ თანამედროვე გერმანიას რთული და გარდამტეხი პერიოდი ჰქონდა.

„ახალი გერმანული ტალღის“ რეჟისორების პირველ თაობას - ალექსანდერ კლუგე, მმები პიტერ და ულრიხ შამონები წარმოადგენდნენ, ისინი, ვინც პირველად გამოხატა პროტესტი „მამების კინოს მიმართ“. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ მომდევნო თაობის რეჟისორები:

¹⁰ ვოლფგანგ ბორჩერტი - Wolfgang Borchert- გერმანელი მწერალი.

¹¹ Шехтман Г., Парадоксы нацистской культуры- https://scepsis.net/library/id_3590.html

¹² ობერჰაუზენის მანიფესტი(აუდიოვერსია),

<https://www1.wdr.de/radio/wdr5/sendungen/zeitzeichen/oberhausener-manifest-100.html>

ვერნერ ჰერცოგი, ვიმ ვენდერსი, ფოლკერ შლენდორფი, რაინერ ვერნერ ფასბინდერი, მარგარეტ ფონ ტროტა...

სწორედ ახალგაზრდა რეჟისორებმა შესანიშნავი ფილმებით, უნიკალური ხედვით, ორიგინალური სტილითა და სრულიად განსხვავებული გამომსახველობითი კინოენით შესძლეს გერმანიის შელახული ღირსების აღდგენა, „მამების“ ძველი ცოდვებისგან გათავისუფლება და დიდი ხნით დავიწყებული გერმანული კინოს საერთაშორისო წარმატების დაბრუნება.

ფრანკოს ესპანეთი

30-იანი წლებიდან ესპანურმა კინოინდუსტრიამ ხანგრძლივი სტაგნაცია განიცადა. მიზეზი იყო ხელისუფლების შეცვლა, სამოქალაქო ომი და ფრანკოს ხანგრძლივი რეჟიმი.

ესპანეთის მეფე ალფონსო XIII ბურბონი 1930 წლის სამოქალაქო აჯანყების შემდეგ ქვეყნიდან გაიქცა. ლეგიტიმური არჩევნების შემდეგ ჩამოყალიბდა ახალი „ესპანეთის რესპუბლიკა“. მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, ძლიერი ეკონომიკური კრიზისი და გაჭირვება მოჰყვა. დაიწყო ანარქია და ტერორი.

პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ფაშისტური იდეების მიმდევარი პარტია, ახალგაზრდა გენერალ ფრანსისკო ფრანკოს ხელმძღვანელობით, რომელიც გადარიბებულ ესპანელ ხალხს ქვეყნის აღორძინებასა და ესპანეთში წესრიგის დამყარებას შეპირდა. საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო - ფრანკისტებად და რესპუბლიკელებად, დაიწყო დაპირისპირება, რასაც მოჰყვა სამოქალაქო ომი (1936 წლის ივლისი-1939 წლის აპრილი).

1939 წელს სამოქალაქო ომი დასრულდა. გენერალმა ფრანკომ, ფაშისტური გერმანიისა და იტალიის დახმარებით, ძალაუფლება მთლიანად ჩაიგდო ხელში და 1975 წლამდე ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი გახდა.

ფრანკოს რეჟიმს ფაშისტურს უწოდებდნენ, რადგან ჰიტლერისა და მუსოლინის გულშემმატკივარი და მოკავშირე იყო, მაგრამ სხვა ევროპელი დიქტატორებისგან განსხვავებით, არ იყო არც ერთი პარტიის ხელმძღვანელი, არ ჰქონდა განსაკუთრებულად გამოკვეთილი იდეოლოგია, არ ოცნებობდა მსოფლიოს ბატონობაზე. მისი მომხრეები თავს ფაშისტებად არ თვლიდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ფრანკომ შექმნა ქვეყნის მართვის თავისებური სისტემა და ცხოვრების სტილი.

ხელისუფლებაში მისვლისთანავე, ფრანკომ ქვეყნის მტრების წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. მტრები კი ისინი იყვნენ, ვინც „სხვანაირად“ ფიქრობდნენ. ერთ-ერთი, ვისი

სიკვდილით დასჯაც, განსხვავებული შეხედულებების გამო ფრანკომ აუცილებლობად ჩათვალა, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელგანთქმული პოეტი, ფედერიკო გარსია ლორკა¹³ იყო.

ქვეყანაში შექმნილი კრიზისის გამო, ინტელიგენციის დიდი ნაწილი თანდათან ტოვებდა ქვეყანას. ხელოვანების იმ ნაწილისაგან, რომელიც ესპანეთში დარჩა, დიქტატორი უსიტყვო მორჩილებასა და იდეოლოგიურად შესაფერისი ხელოვნების შექმნას ითხოვდა.

ესპანეთში, მართალია, კინოწარმოება გაგრძელდა, მაგრამ ფილმების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, მათი მხატვრული ღირებულება კი საშუალოზე დაბალი იყო. სახელმწიფოს მხარდაჭერა ჰქონდა მხოლოდ ფილმებს, რომლებიც რეჟიმისა და კაუდილიოს პრინციპებს შეესაბამებოდნენ.

სამხედრო კონფლიქტის დასრულების შემდეგ დაიწყო მკაცრი ცენზურა. შეიქმნა „კინოცენზურის კომიტეტი“, რომლის ძირითადი მიზანი, მაყურებელამდე მიმავალი ინფორმაციის ზედმიწევნით გაკონტროლება და საზოგადოების „მორალური ღირებულებების დაცვა“ იყო.¹⁴

1944 წლიდან, როდესაც ფაშისტური გერმანიის დამარცხება გარდაუვალი გახდა, ცენზურამაც შეცვალა კურსი. აიკრძალა ფაშისტური იდეოლოგიისა და ანტისემიტური ფილმები, მათ ნაცვლად უპირატესობა რელიგიურ და ისტორიულ კინოსურათებს მიენიჭათ.

ქვეყნის მმართველები ხვდებოდნენ, რომ ესპანური კინო ვერ იქცა „განსაკუთრებულ მოვლენად“ და ღირსეულად ვერ ჩადგა ხელისუფლების სამსახურში, ამიტომ ფრანკოს მმართველობის მეორე ეტაპზე, „კინოს ექსპერიმენტულ და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი“ დაარსდა, რომელსაც მოგვიანებით „ნაციონალური კინოსკოლა“ ეწოდა.

იდეოლოგები იმედოვნებდნენ, რომ სტუდენტების მიერ მომავალში გადაღებულ ფილმებში, ესპანეთის მთავრობა უფრო დამაჯერებლად და იდეალიზებულიად იქნებოდა წარმოდგენილი, მაგრამ ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებმა ახლებურად ფიქრი და სათქმელის ალეგორიულად გადმოცემა დაიწყეს. **ლუის გარსია ბერლანგა, ხუან ანტონიო ბარდემი, კარლოს საურა და ვიქტორ ერესი** -ახალი თაობის მეამბოხე კინოხელოვანები იყვნენ.

დიქტატურის დასრულების შემდეგ, ესპანელი ხელოვანები ქვეყანაში მომხდარი ისტორიული თუ პოლიტიკური მოვლენების ხანგრძლივ და ღრმა ანალიზს შეუდგნენ. დაიწყეს დიქტატურის სულიერი, სოციალური და პოლიტიკური შედეგების ობიექტური გააზრება. აჩვენებდნენ, თუ რა მოხდა სინამდვილეში, ფრანკოს მმართველობის დროს

¹³ ფედერიკო გარსია ლორკა-ესპანელი პოეტი და დრამატურგი.

¹⁴ **Иорис К., Ножницы Франко.** <https://hispanoculturablog.wordpress.com/2016/04/26/>

ესპანეთში. ისინი ხაზს უსვამდნენ აზრს, რომ სამოქალაქო ომში გამარჯვებულები არ არსებობენ და ეს ომი ესპანეთის წინაშე უზარმაზარი დანაშაული იყო.

წარსული შეცდომების აღიარებამ, დანაშაულის გააზრებამ, მონანიების სურვილმა და მიტევების მოთხოვნის იტყუანაში ბევრი რამ შეცვალა. კინოში მოვიდა ინდივიდუალურ რეჟისორთა ახალი ტალღა: **პედრო ალმოდოვარი, ბიგას ლუნა, ვინსენტე არანდა, ფერნანდო ტრუება, მანუელ გუტიერეს არაგონი, პილარ მირო, ალექს დე ლა იგლესია, ხულიო მედემი, ალესანდრო ამენაბარი...** კინემატოგრაფის მთავარი თემა გახდა პიროვნება, მისი ინდივიდუალობა, იდენტობა, სულიერი სამყარო და ხელშეუხებელი ღირებულება - თავისუფლება. ახალგაზრდა ესპანელი რეჟისორებისთვის, თავისუფლება გახდა არამარტო ის ღირებულება, რისთვისაც უნდა იბრძოლო, არამედ ის, რითიც უნდა დატკბე.

ესპანურმა კინემატოგრაფმა მსოფლიოს აჩვენა, თუ როგორ შეიძლება ხანგრძლივი დიქტატურის მიუხედავად, საზოგადოება მაინც მზად აღმოჩნდეს მონანიების, მიტევების, პროგრესისთვის და როგორ შეიძლება, რომ ქვეყანა რაციონალურ, წარმატებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დასრულდა ფაშიზმიც - როგორც პოლიტიკური წყობა და იდეოლოგია. ომის დასრულების შემდგომ, თითოეულმა ფაშისტურმა ქვეყანამ მომხდარის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება ჩამოაყალიბა. პასუხისმგებლობა ყველამ გაინაწილა. ქვეყნები, რომლებმაც მოვლენები გადააფასეს და გააანალიზეს (რაც არ მომხდარა ყოფილ სსრკ-სა და განსაკუთრებით, რუსეთში) დროთა განმავლობაში, დამნაშავის კომპლექსისგან გათავისუფლდნენ. საზოგადოება კვლავ დარწმუნდა, რომ მთავარი ღირებულება - თავისუფლებაა.

მეცნიერები იყენებენ ფორმულირებას: „წარსულის ცოდვების გადაფასება და დაძლევა“. საკუთარი სახელმწიფოს ისტორიასთან მიმართებაში, ეს უმნიშვნელოვანესი საქმე ევროპამ წარმატებით შეასრულა.

თავი II

რუსული საბჭოთა კინო

XIX საუკუნის გერმანელმა ფილოსოფოსებმა კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა ახალი ფილოსოფიური და იდეოლოგიური მიმართულება - კომუნიზმი ჩამოაყალიბეს და საზოგადოების განვითარების უმაღლეს სტადიად მიიჩნიეს. კომუნიზმი უნდა ყოფილიყო ყველაზე სრულყოფილი და იდეალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობა, რომელიც კერძო საკუთრების გაუქმებასა და საერთო საკუთრებაში ფლობაზე იქნებოდა დაფუძნებული.

მსოფლიო ისტორიის მანძილზე, საზოგადოების ასეთ წყობას პრაქტიკაში არასდროს უარსებია და ამიტომაც სკეპტიკოსები მრავლად იყვნენ. ოტო ფონ ბისმარკი¹⁵ ამბობდა: „**თუ სოციალიზმის აშენება გსურთ, მაშინ აირჩიეთ ქვეყანა, რომელიც არ გენანებათ!**“¹⁶ ...ასეთ ქვეყანად მარქსის თანამოაზრემ, ლენინმა რუსეთი აირჩია.

ლენინმა¹⁷ არსებითად მოახდინა მარქსიზმის რევიზია და დასავლეთ ევროპასთან შედარებით ეკონომიურად და კულტურულად ნაკლებ განვითარებული რუსეთისთვის შესაფერისი კომუნისტური მოძღვრების ვარიანტი შექმნა.

კომუნიზმის დამყარებისათვის აუცილებელი წინაპირობა სახალხო აჯანყება და რევოლუცია, გარდამავალი პერიოდის გავლა და არსებული წინააღმდეგობების თანმიმდევრულად გადალახვა იყო. 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაიწყო ახალი ერა მსოფლიოს ისტორიაში – რუსული კაპიტალიზმის ნგრევისა და სოციალიზმის გამარჯვების ეპოქა.

იდეაში, რუსეთის ოქტომბრის რევოლუციას ჩაგრული ხალხისთვის თავისუფლება უნდა მოეტანა, უნდა დაწყებულიყო კეთილდღეობისა და კულტურის აღმასვლის ხანა. მართლაც, 20-იანი წლების რუსული ხელოვნება სავსეა ექსპერიმენტებით, სიმბოლოებით, თხრობისა და გამოხატვის ახალი ხერხების ძიებით.

რევოლუციის პირველ წლებში, ბოლშევიკები თვლიდნენ, რომ კინემატოგრაფი და ზოგადად ხელოვნება საბჭოთა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი არ იყო. ამიტომ 20-იანი წლების ბოლომდე ხელოვნების მიმდინარეობებში სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სახის უხეში ჩარევა ან ცენზურა არ ყოფილა. ამან განაპირობა, რომ რუსულ კინოში მოვიდნენ ახალი, ნიჭიერი სახეები, რომლებიც მომავალში საბჭოთა კინოების რეფორმატორები გახდნენ. ესენი იყვნენ - **მიგა ვერტოვი, ლევ კულეშოვი, ვსევოლოდ პუდოვკინი, სერგეი**

¹⁵ ოტო ფონ ბისმარკი- გერმანიის სახელმწიფო მოღვაწე, გერმანიის იმპერიის დამაარსებელი და პირველი რაიხსკანცლერი

¹⁶ ბისმარკი- <https://www.vangogen.com.ge/2015/03/xx.html>

¹⁷ ვლადიმერ ლენინი- პოლიტიკოსი, მარქსიზმის თეორეტიკოსი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის დამაარსებელი, 1917 წელს რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების ერთ-ერთი ლიდერი.

ეიზენშტეინი, ალექსანდრე დოვჟენკო, სერგეი და გიორგი ვასილევები, გრიგორი კოზინცევი, ლეონიდ ტრაუბერგი, მიხეილ რომი... ისინი გულწრფელად იყვნენ შთაგონებულნი ახალი საბჭოთა სახელმწიფოს შენების იდეით. მათ გამოიგონეს ახალი, განსაკუთრებული, განსხვავებული და ინოვაციური კინოენა.

30-იანი წლებიდან ხელისუფლებამ კინემატოგრაფის, როგორც პროპაგანდის იარაღად გამოყენება გადაწყვიტა. ახალი საბჭოთა ფილმების უმეტესობა ე.წ. „აგიტფილმები“ უნდა ყოფილიყო, რომლებიც რეალურად სახელმწიფოს პოლიტიკური დოქტრინების გახმოვანება იქნებოდა. სააგიტაციო-პროპაგანდისტული ფილმები იყო მხატვრული, დოკუმენტური და სამეცნიერო პოპულარული ფილმების ჰიბრიდი, რომელიც აქტუალური პოლიტიკური თეზისებისა და ლოზუნგების საილუსტრაციოდ უნდა შექმნილიყო. ხელისუფლებამ ახალგაზრდა კინემატოგრაფისტისაგან ქვეყანაში მომხდარი ყველა იმ ცვლილებების ასახვა მოითხოვა, რაც საბჭოთა საზოგადოებაში ბოლო პერიოდში ხდებოდა.

ექსპერიმენტებისა და მხატვრული ხერხების დრო დასრულდა. კინორეფორმატორები ხელისუფლების სამსახურში უნდა ჩამდგარიყვნენ და პარტიის ყველა დაკვეთა უპირობოდ უნდა შეესრულებინათ.

განსაკუთრებული მოთხოვნა გაჩნდა ისტორიულ ფილმებზე. ისტორიული გმირები, ისევე როგორც დიდი სტალინი, მედგრად ეწინააღმდეგებოდნენ დასავლეთიდან მისულ მტერს და ანადგურებდნენ ქვეყნის შიდა მოლაღატეებსაც. გაჩნდა ტენდენცია - ყველგან, ყველა სფეროში კლასობრივი მტრებისა და საზღარგარეთის ჯაშუშების ძებნის აუცილებლობა, მხილებისა და დასჯის სურვილი. ასე თანდათან გახდა შიდა მტრისა და ქვეყნის მოლაღატის განადგურების იდეა ლეგალური.

საბჭოთა ეკრანები დაიპყრეს ასევე მსუბუქმა მუსიკალურმა კომედიებმა მელორეებზე, მწყემსებზე ტრაქტორისტებსა და კოლმეურნეებზე. მხოლოდ კინოეკრანზე ჩანდნენ იდეალური სამყაროს, მხიარულ და ბედნიერ ადამიანები. კინოში მაქსიმალურად აისახა ლოზუნგი „ცხოვრება გახდა უკეთესი - ცხოვრება გახდა უფრო მხიარული“. ამ პერიოდის ფილმებით საფუძლელი ეყრება საბჭოთა კინოში გამოგონილი და შელამაზებული ისტორიის დაკანონებას.

საბჭოთა სისტემამ და კომუნისტურმა პარტიამ მხოლოდ ეკრანზე შეძლეს უკეთესი ცხოვრების შექმნა. ტოტალიტარულ სახელმწიფოში ადამიანებს თავისი ბიოგრაფია თითქმის არ ჰქონდათ. მათ ბიოგრაფიას სახელმწიფო წერდა...

სტალინის პირადი შეხედულებებით ვითარდებოდა ხელოვნება სსრკ-ში. მხოლოდ ის წყვეტდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ხელოვნება. ასე უკომპრომისოდ შესთავაზა სტალინმა ყველას ხელოვნების ახალი მიმდინარეობა - სოციალისტური რეალიზმი.

სოცრეალიზმი - ერთის მხრივ უნდა ყოფილიყო რეალისტური ხელოვნება და მეორეს მხრივ - განვითარებაში ნაჩვენები ხელოვნება. მას უნდა აღეწერა არა ის, თუ რა ხდებოდა რეალობაში, არამედ უნდა ეჩვენებინა რეალობა, განვითარების მომენტში, ანუ ხელოვნება უნდა ყოფილიყო სინამდვილის ასახვა არა ზუსტად, არამედ - სასურველი რეალობა.

სტალინის ცნობიერებაში იშლებოდა ზღვარი ხელოვნებასა და რეალურ ცხოვრებას შორის. კინო მისთვის გახდა არა მხოლოდ გართობისა და მასებზე ზემოქმედების საშუალება, არამედ პოლიტიკური იდეების წყაროც.

საბჭოთა იდეოლოგიასთან ბრძოლაში სამწუხაროდ ხელოვნება საბოლოოდ დამარცხდა და სრულიად მოწყდა მსოფლიო კინოხელოვნების განვითარების პროცესებს. საბჭოთა ხელოვნებაში, ისევე როგორც საბჭოთა კინემატოგრაფში დაიწყო მკაცრი ცენზურა და ტერორი.

ისტორიკოსები ამბობდნენ, რომ კინო რეპრესიებისგან ნაკლებად დაზარალდაო. ასე იმიტომ თვლიდნენ, რომ კინორეჟისორებისთვის ხელი არ უხლიათ, არ დაუხვრეტიათ, მაგრამ მათ უარესი გაუკეთეს - გარდაქმნეს, გადააკეთეს და „სასურველ ფორმაში“ ჩააყენეს.

ბორის შუმიაცკი, სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოსა და ფოტო ინდუსტრიის მთავარი დირექციის ხელმძღვანელი იყო. 1938 წლის 18 იანვარს შუმიაცკი დააპატიმრეს. მისი დაკითხვის ანკეტაში წერია, რომ ის იყო 4 სხვადასხვა ქვეყნის აგენტი. სასამართლო პროცესი მხოლოდ 20 წუთს მიმდინარეობდა, რომელმაც ბორის ზახარის ძე შუმიაცკის სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯეა...

დახვრიტეს ასევე ბორის შუმიაცკის მოადგილეები **იაკოვ ჩუჟინი და კონსტანტინე იუკოვი**, კინოწარმოების მთავარი ორგანიზატორები **ალექსანდრე გრუზი და გრიგორი ირსკი**... რეპრესირებული იყო „მეჟრაბპომფილმის“ დირექტორი **ბორის ბაბიცი**, „მოსფილმის“ დირექტორი **ლიუბოვ ბაბიცკაია** და მისი მოადგილე **ელენა სოკოლოვსკაია**...

„ლენფილმის“ მთელ ხელმძღვანელობა დააპატიმრეს და დახვრიტეს. მათ შორის სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი, კინოს თეორეტიკოსი, სცენარისტი, დრამატურგი **ადრიან პიოტროვსკი** - დახვრიტეს.

ფილმის შემქმნელებს - უკლებლივ ყველას, მუდმივად ჰქონდათ „შეცდომის დაშვების“ შესაძლებლობის შიში. მცირე შემოქმედებითი წარუმატებლობაც კი შეიძლებოდა საბედისწერო ყოფილიყო.

აკრძალეს ფილმები: **ლევ კულეშოვის**- „თქვენი ნაცნობი“ (Ваша знакомая) 1927წელი; **ვსევოლოდ პუდოვკინის**- „სამშობლოს სახელით“ (Во имя Родины) 1943წელი; „ადმირალი ნახიმოვი“ (Адмирал Нахимов) 1945 წელი; **ალექსანდრე დოვჟენკოს**- „ივან“ (Иван) 1932წელი; „მიწა“ (Земля) 1934 წელი; **ვასილევების**- „მძინარე მზეთუნახავი“ (Спящая красавица)

1930წელი; “პირადი საქმე“ (Личное дело) 1932 წელი; აბრაამ რომის- „მკაცრი ახალგაზრდა“ (Строгий юноша) 1935 წელი; ალექსანდრე მედვედკინის - „ახალი მოსკოვი“ (новая москва) 1938 წელი; სერგეი ეიზენშტეინის - „ბეჟინის მდელი“ (Бежин луг) 1935 წელი და სხვ... ფილმების აკრძალვების ლოგიკა ყოველვის არ იყო გასაგები და ხშირად დამოკიდებული იყო სტალინის პირად შეხედულებაზე, ცენზურის განწყობაზე და სტუდიის სამხატვრო საბჭოზე.

30-იანი, 40-იანი და 50-იანი წლებში, ასობით კინემატოგრაფისტი გახდა ტერორის მსხვერპლი. თითქმის ყველა კინოჯგუფში პოპულობდნენ ხან თურქეთის, ხან პოლონეთის, ხან გერმანიის ჯაშუშებს. ადამიანები გადასაღები მოედნებიდან მიჰყავდათ. სცენარისტები, ოპერატორები, ხმის ოპერატორები, მსახიობები, კინოს ტექნიკური პერსონალი... თითოეული მათგანის უკან დგას ადამიანის და შემოქმედებითი ბედის ტრაგედია - გადაუღებელი ფილმები, დაუწერელი სცენარები, შეუსრულებელი როლები...

სერგეი ტრეტიაკოვი¹⁸ - სცენარისტი, პუბლიცისტი და ფუტურისტი პოეტი - დახვრიტეს.

ვლადიმერ ნილსენი¹⁹ - კინოოპერატორი და საოპერატორო ხელოვნების თეორეტიკოსი - დახვრიტეს.

დიმიტრი კონსოვსკი²⁰- თეატრისა და კინოს მსახიობი - დახვრიტეს.

იაკობ ჩუჟინი²¹ - ხელოვნების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე- დახვრიტეს.

კონსტანტინე იუკოვი²² - კრიტიკოსი, საბჭოთა კინემატოგრაფიის ორგანიზატორი- დახვრიტეს.

ბორის ბაბიცი²³ - მოსფილმის დირექტორი- დახვრიტეს.

მარგარიტა ბარსკაია²⁴- მსახიობი, სცენარისტი, კინორეჟისორი - დახვრიტეს.

ევგენია გორკუშა²⁵- მსახიობი - გადასახლებაში თავი მოიკლა.

ვენამინ ზუსკინი²⁶ - თეატრისა და კინოს მსახიობი - დახვრიტეს.

ვსევოლოდ მეერჰოლდი²⁷ - თეატრის რეჟისორი, მსახიობი, პედაგოგი - დახვრიტეს.

¹⁸ სერგეი ტრეტიაკოვი- რუსი პუბლიცისტი, დრამატურგი, სცენარისტი და ფუტურისტი პოეტი. დახვრიტეს 1937წელს.

¹⁹ ვლადიმერ ნილსენი- საბჭოთა კინოოპერატორი, საოპერატორო ხელოვნების თეორეტიკოსი. დახვრიტეს 1938 წელს.

²⁰ დიმიტრი კონსოვსკი- საბჭოთა მსახიობი, ვახტანგოვის სტუდიის კურსდამთავრებული. დახვრიტეს 1938 წელს.

²¹ იაკობ ჩუჟინი- კინოფიკაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე. დახვრიტეს 1938 წელს.

²² კონსტანტინე იუკოვი- კინოფიკაციის სამმართველოს უფოსის პირველი მოადგილე, დახვრიტეს 1938 წელს.

²³ ბორის ბაბიცი- მოსფილმის დირექტორი. დახვრიტეს 1937 წელს.

²⁴ მარგარიტა ბარსკაია- საბჭოთა მსახიობი, კინორეჟისორი და სცენარისტი. დახვრიტეს 1939 წელს.

²⁵ ევგენია გარუშკა- თეატრ „მოსსოვეტის“ მსახიობი. გადასახლეს მაგადანში, სადაც 1948 წელს თავი მოიკლა.

²⁶ ვენამინ ზუსკინი- ებრაული თეატრის მსახიობი. დააპატიმრეს 1948 წელს. დახვრიტეს 1952 წელს.

ლეს კურბასი²⁸-თეატრის მსახიობი და რეჟისორი - დახვრიტეს.

კაროლა გენშკე²⁹ - გერმანელი მსახიობი - დახვრიტეს.

რეპრესიების არსებობას მსოფლიო ისტორია იცნობს, მაგრამ იმან, რაც სსრკ-ში მოხდა, თავისი მასშტაბებითა და დროში ხანგრძლივობით - ყველაფერს გადააჭარბა!

ვერცერთმა დიქტატორმა ვერ შესძლო იდეოლოგიის სამსახურში ხელოვნების ბოლომდე გამოყენება ისე, როგორც ეს სტალინმა მოახერხა.

ვერცერთმა იდეოლოგიამ ვერ შეძლო კინემატოგრაფის პოლიტიკურ იდეოლოგიად გამოყენება ისე, როგორც ეს კომუნისტურმა იდეოლოგიამ მოახერხა.

არცერთი დიქტატურა არ ყოფილა ისეთი ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი, როგორც საბჭოთა დიქტატურა იყო.

სამწუხაროდ საბჭოთა ხელოვნებაში, ისევე როგორც საბჭოთა კინოში, დღემდე ვხვდებით ტაბუდადებულ თემებს... პასუხგაუცემელ კითხვებს... შეუსწავლელ ფაქტებს... დამალულ დოკუმენტებს...

რევოლუციებსა და ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირის „ნანგრევებზე“ შექმნილ სახელმწიფოში ჯერ კიდევ არ მოიძებნა ადამიანის ადგილი... რა ხარისხით სჭირდება მოაზროვნე ადამიანი „ახალ“ სისტემას? ... და სჭირდება თუ არა ფიქრი და მსჯელობა ძველი, საბჭოთა იდეოლოგიის მოტრფიალე სახელმწიფოს?

თავი III

რეპრესირებული ქართული ხელოვნება

1921 წლიდან, დამოუკიდებელი სახელმწიფოს - საქართველოს დაპყრობის შემდეგ, მკაცრი ცენზურა და სისხლიანი რეპრესიები ყველაზე ადრე ქართულ მწერლობაში დაიწყო.

ახალი ლიტერატურული გაერთიანება „მწერალთა კავშირი“ და მისი მართვის ცენტრალიზებული სისტემა ლიტერატურული სფეროს მარტივად კონტროლის საშუალებას იძლეოდა. ვინც მწერალთა კავშირში არ გაწევრიანდებოდა, ლიტერატურული საქმიანობა ეკრძალებოდათ, ანტისაბჭოთა პროპაგანდაში დაადანაშაულებდნენ და შემდეგ მათი ბედი უკვე ჯალათების ხელში იყო.

²⁷ ვსევოლოდ მეერხოლდი- საბჭოთა მსახიობი, რეჟისორი და პედაგოგი. დახვრიტეს 1940 წელს.

²⁸ ლეს კურბასი- უკრაინელი თეატრისა და კინოს რეჟისორი, მსახიობი. დახვრიტეს 1937 წელს.

²⁹ კაროლინა გენშკე- გერმანელი მსახიობი. სტუდია „მეჟრამპროდუქციის“ მსახიობი. დახვრიტეს 1942 წელს.

განსხვავებულად მოაზროვნე მწერლების დასჯისა და დაპატიმრების სურვილს, სრული თავისუფლება მისცა 1937 წლის 30 ივლისის, ამხანაგ ეჟოვის # 00447 დადგენილებამ, რომლის მიხედვით, დაიწყო „ანტისაბჭოთა ელემენტების რეპრესიები“.

ლიტერატურულ წრეში „ანტისაბჭოთა ფაშისტურ-ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრობის“ ბრალდებით, დაიწყო მწერლებისა და პოეტების „სანიმუშო დასჯა“. ნაწილი დახვრიტეს, ნაწილი გადაასახლეს, ნაწილი გადაიბირეს, ნაწილი კი ტერორის გზით უბრალოდ დაიმორჩილეს.

ბოლშევიკურ მთავრობას, არც ქართული თეატრი დარჩა უყურადღებოდ. რუსთაველის თეატრის დასის საქმე ერთ-ერთია, მაგრამ გამორჩეული და საინტერესო, იმ ზღვა მასალიდან, რომელიც ინახება შსს არქივში. დახვრიტეს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, მსახიობები, თეატრის მხატვრები, გადაასახლეს დასის ათობით თანამშრომელი.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ, რეჟისორ **სანდრო ახმეტელის** გარდა, რუსთაველის თეატრის დასიდან დახვრიტეს მსახიობები: **ვახტანგ აბაშიძეს, გიორგი ჟორდანიას, ვანიკო აბაშიძე, პლატონ კორიშელი, ელგუჯა ლორთქიფანიძე, ია ქანთარია, ივანე ლაღიძე, ნინო ღვინიაშვილი, ხათუნა ჭიჭინაძე.** 10 წლით გადაასახლეს: **ბუჟუჟა შავიშვილი და თამარ ახმეტელი-წულუკიძე** დახვრიტეს: **პეტრე ოცხელი, დიმიტრი შვეარდნაძე, ევგენი მიქელაძე...**

პატიმარებს დაკითხვაზე, უმოკლეს ვადაში უნდა ეღიარებინა დივერსიულ-კონტრევოლუციურ-ტერორისტული ჯგუფის წევრობა და სხვა წევრებიც უნდა დაესახელებინა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, არსებობდა თუ არა მსგავსი ორგანიზაცია, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლით სიკვდილამდე მიყვანილი პატიმრისგან „ღიარებით ჩვენებებს“ იღებდნენ, რაც ახალი დაპატიმრებების საბაზი ხდებოდა. ეს იყო უწყვეტი ჯაჭვი, რამაც მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. საქართველოში განათლებული, მოაზროვნე და მაღალზნეობრივი საზოგადოების გამორჩეული ნაწილი - საერთოდ მოისპო...

ტერორი შეეხო ყველას: მეცნიერებს, მწერლებს, მსახიობებს, უბრალო ადამიანებს. ქართველი ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლა და მათი განადგურება საბჭოთა ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა იყო, რადგან მწერლობა, მხატვრობა, თეატრი და კინო - ერთადერთ ასპარეზს წარმოადგენდა, სადაც ქართველი მოღვაწეები თავიანთ სათქმელს ამბობდნენ. 30-იანი წლების ტერორი და რეპრესიები, ეროვნულ ცნობიერებაზე შეტევისა და საუკეთესო გენოფონდის განადგურების ხანა იყო.

კოტე მიქაბერიძე

ორი ქართველი კონორეჟისორი **კოტე მიქაბერიძე და ნუცა ლოლობერიძე**, ის ავტორები არიან, რომლებსაც რეპრესიები სხვადასხვა დროსა და განსხვავებული ფორმით შეეხოთ.

კოტე მიქაბერიძე - კინომსახიობი, კინორეჟისორი, მხატვარი, კინოშედეგის „ჩემი ბებია“ ავტორი და ტრაგიკული ბედის პიროვნება, რომელმაც მრავალმხრივი ნიჭის მიუხედავად, რთული და დრამატული ცხოვრება გაიარა. მისი ბიოგრაფია ზუსტად ასახავს საბჭოთა ეპოქის „ატმოსფეროს“ და ათასობით ადამიანის ბედს, რომლებიც მართალია, ფიზიკურად გადარჩნენ, მაგრამ მორალურმა წნეხმა საბოლოოდ გაანადგურა.

კოტე მიქაბერიძის პირველი ფილმი „ჩემი ბებია“ (1929 წელი) ჩაფიქრებული იყო, როგორც სატირული კომედია, „აგიტფილმი“ ბიუროკრატიის წინააღმდეგ, თუმცა აღმოჩნდა, რომ კინოსურათი საბჭოთა ბიუროკრატიულ სისტემას ასახავდა, იდეოლოგიის აბსურდულობას აჩვენებდა და სისტემას დასცინოდა.

კოტე მიქაბერიძემ საბჭოთა იდეოლოგიისთვის უპატიებელი შეცდომა დაუშვა - დასცინა საბჭოთა ბიუროკრატიულ სისტემას და ამასთან ერთად გამოიყენა შემოქმედებითი ექსპერიმენტები, რაც ასევე მიუღებელი იყო სახელმწიფოსთვის, რომელიც თავისუფლად ფიქრისა და ძიების პროცესს კრძალავდა.

მას „**ფორმალისტი რეჟისორის**“ ბრალდება წაუყენეს და ფილმი „ჩემი ბებია“ დიდი ხნით თაროზე შემოდეს („ფორმალისტი ბრალდება“ საბჭოთა სისტემაში ყველაზე საშიში ცოდვა იყო, რომელსაც იმ დროს არა ერთი ხელოვანის სიცოცხლე და კარიერა შეეწირა). ამ ფილმს მოჰყვა ბევრი განუხორციელებელი, შეჩერებული, დაუმტკიცებელი და მივიწყებული პროექტი...

არქივებში მოძიებული დოკუმენტებიდან მოგითხრობთ, რომ არსებობდა კოტე მიქაბერიძის 12 დასრულებული ან დამტკიცებული სცენარი (ზოგიერთზე მუშაობა უკვე დაწყებულიც იყო), მაგრამ მათი განხორციელება არ მოხერხდა.

1956 წლის 1 თებერვალს 60 წლის კოტე მიქაბერიძე დააკავეს. მიზეზი - ანტისაბჭოთა ხასიათის 4 ანონიმური წერილის გაგზავნა იყო. წერილები ხელმოწერილი იყო ფსევდონიმით - „თავისუფალი საქართველოს ხმა“.

„**საბჭოთა ხელისუფლება არის - გიგანტური საკონცენტრაციო ლაგერი; ყველაზე ლაჩარი, მშიშარა სახელმწიფო, რომელსაც თავისი ჩრდილების ეშინია, ხალხის ეშინია, ადამიანების ეშინია; ყოვლად მატყუარა სახელმწიფო; დესპოტი, რომელმაც წართვა საბჭოთა მოქალაქეს ყოველგვარი თავისუფლება, მეობა, ვაჟკაცობა, ხასიათი - ინდივიდუალობა;**

...რის საბჭოთა ხელისუფლება - ეს ხომ ნამდვილი იმპერიალისტური სახელმწიფოა, უფრო უარესი - ფაშისტური სახელმწიფოა! ხალხმა იცის ეს. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“

30

„1957 წლის 02.04. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ კ. მიქაბერიძის საქმეზე დაადგინა:

კონსტანტინე არჩილის ძე ცნობილი იქნეს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ 58-10 მუხ. „ანტისაბჭოთა საქმიანობა და აგიტაცია“ და მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა სამი წლით“.

რეჟისორი მორდოვეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომა-გასწორების კოლონიაში გადაასახლეს, საიდანაც დაბერებული, მოტეხილი და სრულიად დაბეჩავებული დაბრუნდა. პატიმრობაგამოვიდა, ფილმის გადაღების უფლებას არავინ მისცემდა, ადგილი სადუბლიაჟო სამქროში მიუჩინეს, იქ, სადაც სულ ჩუმად იქნებოდა და პრობლემებს არავის შეუქმნიდა. წლები ჩუმად შრომაში გაატარა, არასდროს ახსენებდა „ფორმალიზმის გავლენით“ გადაღებულ ფილმს და არც ახლის გადაღების სურვილს ბედავდა. „ჩუმად ყოფნა“ ხომ მისი „თავისუფლებაში“ ყოფნის სასჯელი იყო.

კოტე მიქაბერიძე გენიალურ რეჟისორად გვიან აღიარეს, მაშინ, როდესაც ცოცხალი აღარ იყო. ძნელი წარმოსადგენია, ერთმა ადამიანმა - ნიჭიერმა კაცმა, სავსე იმედებით, ენერგიით, ენთუზიაზმით, გაუძლოს ამდენ დამარცხებას, ტყუილს, გაჭირვებას, შეურაცყოფას, მძიმე სასჯელს და ბოლოს სრულ დუმილს და უსიტყვო მორჩილებას...

ნუცა ლოლობერიძე

ნუცა (ნინო) ხუციშვილი-ლოლობერიძე - პირველი ქართველი ქალი კინორეჟისორი, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი იყო სიმამაცე, პასუხისმგებლობა და მოყვასის სიყვარული... გადაიღო 3 ფილმი: დოკუმენტური - „მათი სამეფო“ , „ბუბა“ და მხატვრული ფილმი - „უჟმური“.

საქართველოს ცენტრალურ არქივში მხატვრული ფილმის „უჟმური“ შესახებ დღემდე უცნობ მასალებს მივაკვლიე. „სახკინმრეწვის“ სამხატვრო საბჭოს სხდომის სტენოგრაფიულ

³⁰ შსს არქივი. ფონდი-6, სსს # 5702.

ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ განხილვას ვსევოლოდ მერკულოვი - სახელმწიფო უშიშროების 1-ლი რანგის კომისარი ³¹ ხელმძღვანელობს.

განხილვისას ნუცა ლოლობერიძე თამამი და უკომპრომისოა: **„...ჩვენ ასეთი მდგომარეობა გვაქვს, რომ ვიმყოფებით გზაჯვარედინზე, საიდანაც ყველა მიმართულება დამლუპველია. ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ რთულ მდგომარეობიდან გამოსვლას...“³²**

ამ სიტყვების შემდეგ, ნუცა ლოლობერიძე „ფიზიკურად გადარჩა“, მაგრამ ეს „ავისმომასწავებელი მშვიდობა“, დიდხანს არ გაგრძელებულა. მომავალში მის არცერთ სცენარს განხორციელების საშუალება არ მისცეს.

ეროვნულ არქივში მივაკვლიე ნუცა ლოლობერიძის დღემდე უცნობ სამ ლიტერატურულ სცენარს მხატვრული ფილმებისთვის - „პირველი ქალიშვილი“ (უთარილო), „ვის?“ -1934 წელი და „მსხვილმანი წვრილმანები“- 1934 წელი.

არავინ იცის, ამ სცენარებიდან როგორი ფილმები გამოვიდოდა. ერთი კი ცხადია, ნუცა ლოლობერიძის მთავარი პერსონაჟები სრულიად განსხვავდებიან საბჭოთა გმირებისაგან. ისინი კეთილი, გულწრფელი და თავმდაბალი ადამიანები არიან...

1937 წელს ნუცა ლოლობერიძის მეუღლე, ცნობილი საბჭოთა პარტმუშაკი, ლევან ლოლობერიძე დააპატიმრეს და დახვრიტეს. ნუცა ლოლობერიძე კი ბინიდან გამოასახლეს, კინოსტუდიიდანაც გამოუშვეს და მისი ფილმები, ისევე, როგორც განუხორციელებელი სცენარები - გადამალეს.

1937 წლის მიწურულს ნუცა ლოლობერიძეც დააპატიმრეს და 10 წლით ქალთა საკონცენტრაციო ბანაკ „პოტმა-ში“, შემდეგ ვორკუტის ქალთა საკონცენტრაციო ბანაკში „ჩესეირი“ (член семьи изменника родины) გადაასახლეს.

შემდეგ, როდესაც სასჯელის ვადაც გავიდა, შინდაბრუნებულმა ნუცა ლოლობერიძემ - „დაივიწყა“ წარსულიც, პროფესიაც და ხელახალი ცხოვრების დაწყება შესძლო. კინოში მუშაობის გაგრძელება აღარ უცდია. მოთხრობების წერა დაიწყო. დაწერა 6 მოთხრობა, რომელთაც თვითონ დოკუმენტურ-მხატვრულს უწოდებდა.

„ამ უბედურ სივრცეში, გაყინული მდინარის ახლად მოთოვილ ზედაპირზე მოდიოდა თოტხმეტი ქალი. თუმცა ქალი პირობითად თუ დაერქმეოდა ამ უცნაურ მაჯლაჯუნებს და არც სიტყვა მოდიოდა უდგებოდა მათ გაჭირვებულ ბაჯბაჯს ყინულზე.

³¹ ვსევოლოდ ნიკოლოზის ძე მერკულოვი - (1895-1953) არმიის გენერალი, სახელმწიფო უშიშროების 1-ლი რანგის კომისარი, საქართველოს კპ ცკ განყოფილების გამგე (1921-1938), სსრკ შს სახკომის 1-ლი მოადგილე (1938-1941), სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახკომი (1941, 1943-1946), სახელმწიფო კონტროლის მინისტრი (1950-1953), დაპატიმრებულია და რეპრესირებული (1953).

³² ეროვნული არქივი - ფ.-52; ანა-1; საქ-1,2.

გარედან ქალებს დაბამბული, გაპოხილი, გამოხუნებული ბუშლატები ეცვათ და ისეთივე შარვლები. მესამე ვადისა ერქვა ამ სხვის ნაცვამ ტანსაცმელს, რომელიც უკვე მესამე ხელში გადადიოდა სახმარად. ხოლო შიგნით, ტანზე... ვინ აღწერს იმას, რაც ამ ქალებს ტანზე ეცვათ ან შემოხვეული ჰქონდათ: პერანგი, კაბა, ქვედატანი, ზედატანი, ჟაკეტი, მოსახვევი, პირსახოცი, ფერად-ფერადი კონკები - ყველაფერი, რაც კი გაბადია და რაც კი შეიძლება ჩაიცვა ან შემოიხვიო, რომ ორმოგვრადუსიან ყინვას გაუძლო.“ (ფრაგმენტი ნ. ლოლობერიძის მოთხრობიდან „ვალსი პეჩორაზე“).³³

„ხალხისა და სამშობლოს მტრის“ შემოქმედებასა და მასზე ინფორმაციას, დიდი ხნით ტაბუ ედო. 80 -ზე მეტი წელი დასჭირდა ნუცა ლოლობერიძის სახელის უკან დაბრუნებას. „შემოქმედების რეაბილიტაციის შემდეგ“ აღმოჩნდა, რომ ეპოქისა და ცენზურის მიუხედავად, მისი ფილმები, ლიტერატურული სცენარები და მოთხრობები, სავსეა ადამიანური თანაგრძნობით, სითბოთი და სიცოცხლის სიყვარულით.

ნუცა ლოლობერიძის ხანმოკლე ცხოვრება და შემოქმედება ანარეკლია იმისა, თუ როგორ იცხოვრა იმ დროს ჩვენმა ქართველმა საზოგადოებამ. მის თავგადასავალში თავმოყრილია ჩვენი ქვეყნის ისტორია, ეპოქის მთელი ტრაგიზმი, როგორც რეპრესირებულთაგან ერთ-ერთის, რომელმაც ღირსეულად, ჩუმად და უშეცდომოდ გაიარა მისთვის განკუთვნილი მძიმე გზა - მისი სიცოცხლე.

რევიზია „სახკინმრეწვში“

ნაშრომის ეს თავი მთლიანად ეყრდნობა ეროვნულ არქივსა და შ. ს. ს. არქივში მოძიებულ დოკუმენტებს, რომლებიც პირველად საჯაროდდება.

ეროვნული არქივის, განსაკუთრებული სპეციფიკისა და მიმართულების - „ცეკას კონტროლის ფონდში“ - მივაკვლიე „სახკინმრეწვში“ (სახელმწიფო კინემატოგრაფიული მრეწველობა) - კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული რევიზიის დოკუმენტაციას. მასალები აკინძულია 12 საქაღალდეში და სრულიად არათანმიმდევრობით, ქრონოლოგიისა და თემატური მიმართულებების გარეშე ერთმანეთში არეულია როგორც რევიზორთა დასკვნები, ისე ცალკეულ თანამშრომელთა წერილები, დაკითხვის სტენოგრაფიული ჩანაწერები, საბუღალტრო ანგარიშები, კრების ოქმები და ა.შ. მასალის ხანგრძლივი დამუშავების შემდეგ შესაძლებელი გახდა დიდი ხნით მივიწყებული ამბის გაგება.

³³ ლოლობერიძე ლ., რაც მაგონდება და როგორც მაგონდება, გამომ. „ფავორიტი“, წელი 2018. გვ. 89.

1937 წლის იანვარ-აგვისტოში „სახკინმრეწვში“ მიმდინარეობდა უშიშროების სამსახურის მითითებით განხორციელებული პარტიული რევიზია-კონტროლი. მიზანი იყო **„საქართველოს სახკინმრეწვის სისტემაში მავნებლების მხილება და შემდგომში მათი ლიკვიდაცია“**.

ჩატარდა როგორც საბუღალტრო საფინანსო ხარჯების, ასევე „სახკინმრეწვში“ შემავალი დამოუკიდებელი საწარმოების: „კინო-ქრონიკა“, „მულტსტუდია“ და „სასცენარო განყოფილება“ - რევიზია-კონტროლი. შეაჩერეს ცალკეული ფილმის წარმოება, დაიკითხა სტუდიის რეჟისორები, მოხდა **„იდეურად არასაიმედო ხალხის გამოაშკარავება“** და პასუხისმგებში მიცემა.

მავნებლობის აღმოფხვრის მიზნით ჩატარებულ რევიზიას, რომელიც 8 თვე გაგრძელდა, რამდენიმე დამკვირვებელი ჰყავდა, რომლებიც პარალელურად „სწავლობდნენ სიტუაციას“ და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წერდნენ ანგარიშს.

გამოძიების დაწყებისთანავე დააპატიმრეს „სახკინმრეწვის“ ყოფილი და მოქმედი დირექტორები - ივანე კიკნაძე და ამბროსი თითბერიძე. სახკინმრეწვის მთელმა კოლექტივმა გამოძიების დაწყებისთანავე უკვე იცოდა, რომ ყველა მათგანის სიცოცხლე საფრთხეში იყო. ნებისმიერი მოქმედება, მოსაზრება ან უბრალო რეპლიკაც კი, შეიძლებოდა გადასახლების ან დახვრეტის მიზეზი გამხდარიყო...

პროკურორის შეკითხვაზე: - ხელმძღვანელობის მოხსნისა და დაპატიმრების შემდეგ, იგრძნობა თუ არა, რაიმე ძვრები მუშაობაში, კინორეჟისორი ლეო ესაკია პასუხობს: - **„ხალხის მტრების მოხსნისა და მათი იზოლაციის შემდეგ, რა თქმა უნდა ვგრძნობთ ერთგვარ კმაყოფილებასა და ენთუზიაზმს, ხასიათი კარგი გვაქვს. თავს ვგრძნობთ ათასჯერ უკეთესად, ვიდრე აქამდე!“**

კინო-ქრონიკის განყოფილების რევიზიის შედეგად სამსახურიდან გაანთავისუფლეს და დააპატიმრეს კინო-ქრონიკის განყოფილების დირექტორი, „ხალხის მტერი“ **მარკ რიჟი**. მისი საქმე პროკურატურის ორგანოებს გადაეცა. **სამწუხაროდ ინფორმაციას, მარკ რიჟის შესახებ, ვერსად მივაკვლიე. ამბავი მარკ რიჟის არსებობის შესახებ, აქ წყდება...**

მულტსტუდიის რევიზიის დასრულების შემდეგ, საქართველოს სახკინმრეწვის წარმომადგენელი მოსკოვის გოსკინპრომში, რომელიც ასევე პასუხისმგებელი იყო მულტსტუდიის მუშაობაზე, **ბურსუკი მიხეილ გიორგის ძე**, სამსახურიდან გაანთავისუფლეს და მისი საქმე პროკურატურის ორგანოებს გადასცეს. **სამწუხაროდ ინფორმაციას მიხეილ ბურსუკის შესახებ, ვერსად მივაკვლიე. ამბავი მიხეილ ბურსუკის არსებობის შესახებ აქ წყდება...**

„სასცენარო განყოფილებიდან“ დააპატიმრეს განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომელი, მწერალთა კავშირის კინოს სექციის წევრი, სცენარისტი **სამუელ (ბაჭუა) კუპრაშვილი**. ის იყო გიორგი მაკაროვის კომედიური ჟანრის ფილმის „ნახვამდის“ სცენარის ავტორი. ეროვნულ არქივში ინახება სამუელ (ბაჭუა) კუპრაშვილის ლიტერატურული კინოსცენარები: „მომავალ შეხვედრამდე“ „აბო“, „კანონების კრებული“ და „ციალას ლაშქრობა“, ასევე დოკუმენტებში მოხსენიებულია მისი ლიტერატურული სცენარი „**ორი ზღვა**“.

„ხალხის მტერი“ სამუელ კუპრაშვილი 1937 წელს დახვრიტეს. შემდეგ ფილმი-კომედია „ნახვამდის“ - აკრძალეს, ხოლო მისი სახელი, ისევე როგორც მისი სცენარები სახკინმრეწვის სასცენარო განყოფილებაში დიდი ხნით „დაივიწყეს“.

რევიზიის დასკვნაში წერია, რომ: „სახკინმრეწვის მმართველობითი აპარატის არასწორმა სტრუქტურამ, გამოიწვია ხარჯების აღრევა; საწარმოს გეგმების მიზანმიმართულად უგულვებელყოფა; სახელმწიფო სახსრების განუზომელი გაფლანგვა და სახკინმრეწვის გაღატაკებამდე მიყვანა“.

ყველაზე დიდი „მავნებლები და ხალხის მტრები“ - სახკინმრეწვის დირექტორები 36 წლის ამბროსი თითბერიძე და 30 წლის ივანე კიკნაძე იყვნენ. ისინი რევიზიის დაწყებისთანავე ორგანიზებული მავნებლური საქმიანობის, კანონმდებლობის დარღვევის გამო დააპატიმრეს...

„სახკინმრეწვის“ დირექტორი ამბროსი სიმონის ძე თითბერიძე იყო მემარჯვენე ორგანიზაციის წევრი, ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას, იბირებდა ახალ წევრებს ორგანიზაციაში, ფლანგავდა და ითვისებდა სახელმწიფო ქონებას.

შინსახკომის მე-4 განყოფილების სამეულის გადაწყვეტილებით მას მიესაჯა 58-7, 58-11, 114, 122 მუხლი, რაც პირადი ქონების კონფისკაცია და სასჯელის უმაღლეს ზომას - დახვრეტას ითვალისწინებს. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 12/12/1937 წელს“.³⁴

„სახკინმრეწვის ყოფილი დირექტორი და ამჟამად დირექტორის მოადგილე ივანე გიორგის ძე კიკნაძე იყო „მემარჯვენე ორგანიზაციის წევრი. შინსახკომის მე-5 განყოფილების სამხედრო კოლეგიის მიერ მას მიესაჯა 58-8, 58-11 მუხლი, რაც სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტაა. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1937 წლის 1 ოქტომბერს“.³⁵

მას შემდეგ, რაც „სამართლიანობა აღდგა“ და სტუდია „ხალხის მტრებისაგან საბოლოოდ განთავისუფლდა“, 1937 წლის 22-23 ნოემბერს შედგა „სახკინმრეწვში მომუშავეთა და

³⁴ამბროსი თითბერიძე -

[https://ge.openlist.wiki/%E1%83%97%E1%83%98%E1%83%97%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94_%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AB%E1%83%94_\(1901\)](https://ge.openlist.wiki/%E1%83%97%E1%83%98%E1%83%97%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94_%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AB%E1%83%94_(1901))

³⁵ ივანე კიკნაძე - <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=26&t=7415>

დასაქმებულთა საერთო კრება. კრებაზე საჯაროდ გაინხილეს „სახკინმრეწვის მდგომარეობა, დაგმეს ხალხის მტრების საქციელი და გამოამჟღავნეს მათი კუდები“ .

სხდომის არასრული სტენოგრაფიული ჩანაწერი, 42 გვერდისგან შედგება და საკმაოდ მძიმე წასაკითხია...

„...ამხ. ესაკია - სახკინმრეწვი გაჭედულია ხალხის მტებით და ჩვენ უნდა გავწმინდოთ აქაურობა! აქ ჯერ კიდევ ბევრია იმ ნაძირალების კუდები, რომლებიც წამლავენ პატიოსან ადამიანებს და შეცდომაში შეჰყავთ მმართველი ორგანოები! ...აქ ბრძოლა სიკვდილამდეა!!! ჯანმრთელებმა უნდა დავასამართოთ ავადმყოფები და უვარგისები!!!!“³⁶

უცნაურია, ამ მოვლენებიდან ათეული წლები ისე გავიდა, რომ ამ ამბების შესახებ ზუსტი ინფორმაცია და რეალური ფაქტები ბოლომდე გასაიდუმლოებული დარჩა. ისტორიას არასდროს, არსად და არავინ ახსენებდა, არავის უყვებოდნენ, მაგრამ ფურცლებმა კვალი ბოლომდე მაიმც ვერ გააქრეს...

რატომღაც მგონია, რომს ამ ამბავთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია და ანგარიშები სხვაგან, დღემდე „ტაბუდადებულ დოკუმენტებთან“ ერთად ინახება... მგონია, რომ ეს 12 ტომიანი საქალაქდებები, ოდესღაც, ვიღაცის მიერ არათანამიმდევრულად შეგროვილი დოკუმენტაციაა სახელდახელოდ შეკრული და შეგნებულად მივიწყებული, რომელიც შემთხვევით არ განადგურდა და არქივში დარჩა...

გადასახლებულების და დახვრეტილების ბედი დაივიწყეს და ამოშალეს ისტორიიდან - ისევე როგორც ფოტოებიდან და წარსულიდან. როგორც მაგალითად ნუცა ლოლობერიძისა და კოტე მიქაბერიძის შემოქმედება, სამუელ კუპრაშვილის სცენარები, ამბროსი თითბერიძის, ივანე კიკნაძის, ბიოგრაფიები... და კიდევ იქნებ სხვებისაც, რომლის შესახებ ჯერ კიდევ არაფერი ვიცით... თემა ჯერ კიდევ სრულად შესწავლილი არაა, რადგან საარქივო დოკუმენტების დიდი ნაწილი ან საქართველოდან რუსეთშია გატანილი, ან ჯერ კიდევ გაუხსნელია და „გრიფით საიდუმლო“ ადევს...

სამართლიანობის აღდგენის გზა - ხანგრძლივი და რთული პროცესი აღმოჩნდა... იმის მიუხედავად, რომ სტალინის გარდაცვალებიდან ბევრი წელი გავიდა და საბჭოთა კავშირიც დაიშლია, საბჭოთა წარსულის შეფასება სრულად და სამართლიანად ჯერ არ მომხდარა. დიდ განუკითხაობაშია - ვინ იყო დამნაშავე, ვინ იყო ჯალათი და ვინ იყო მსხვერპლი... იმისათვის, რომ გავაგრძელოთ სვლა მომავლისკენ, წარსულის ისტორიაზე უნდა შევთანხმდეთ.

³⁶ - ფ.-297, ა.-1, საქ.-1343.

პირდაპირ უნდა შევხედოთ რეალობას, უნდა შევძლოთ შეცდომებისა და დანაშაულის გააზრება, ისევე, როგორც ეს შეძლო ევროპამ, გავიაროთ კათარზისი და მხოლოდ ამის შემდეგ გავაგრძელოთ მომავალი ცხოვრება, განვითარება და წინსვლა.

თუ არ ვისწავლეთ წარსული წარმატებებისა და კრახის მიზეზ-შედეგობრიობა, მარცხი ვერ გავაცნობიერეთ, ვერ მივხვდით საიდან მოვდივართ და საით მივდივართ, რა არის ჩვენი დანიშნულება - როგორც ერის, როგორც საზოგადოების, როგორც ქვეყნის - მუდმივად დეზორიენტირებულები ვიქნებით. დეზორიენტირებული ერი მარტივად ხდება მანიპულირებადი და საზოგადოებაც შეიძლება მარტივად იქცეს მორჩილ მასად.

მხოლოდ დიდი პიროვნებები ქმნიან ძლიერ საზოგადოებას და პიროვნებების თავისუფლება არის ის საფუძველი, რომელზედაც ყველაფერი და პირველ რიგში სახელმწიფო შეიძლება აშენდეს. თავისუფლების სიყვარული და მისკენ სწრაფვა ადამიანური ბუნების განუყოფელი ნაწილია და პიროვნების არსებობის აუცილებელი პირობაა. მხოლოდ თავისუფალ ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა, გამოავლინოს საკუთარი თავი და შემოქმედებითი პოტენციალი. ჩვენ ქვეყანაშიც დადგა თავისუფალი ადამიანებისგან შემდგარ თავისუფალ საზოგადოებად ჩამოყალიბების დრო.

ჩემი სადისერტაციო ნაშრომი, ჩვენი წარსულის ისტორიის მოყოლის მცდელობაა. დიქტატურა, იდეოლოგია, ხელოვნება და თავისუფლება - ამოუწურავუ თემაა, ამაზე კიდევ მეტის და მეტის თქმა შეიძლება. ამისთვის ბევრი გზა და საშუალება არსებობს - უფრო პოლიტიკური, უფრო ისტორიული, უფრო ტრაგიკული. მე თემასთან მიახლოების ჩემი გზა ვიპოვე, არ ვიცი, რამდენად სამართლიანი ან რამდენად სწორი... მაგრამ - გულწრფელი...

ეკატერინე კონტრიძე

თბილისი, 2021 წელი